



წარმოადგენს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველს.

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები და

### გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტი კომპანიის წარმომადგენელი შალვა გვარამაძე მოითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 29 აგვისტოს №1195/03 ბრძანების ბათილად ცნობას და განცხადებული სასაქონლო ნიშნის „АРПИ არპი ВОСХОДЯЩЕЕ СОЛНЦЕ КАВКАЗА“ რეგისტრაციას განცხადებული საქონლის სრული ჩამონათვისათვის.

აპელანტი აღნიშნავს, რომ არ არსებობს განცხადებულ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი. აპელანტი, მიიჩნევს, რომ განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და აქედან გამომდინარე თვლის, რომ არ მოხდება მომხმარებლის მხრიდან ამ ნიშნებით მონიშნული 33-ე კლასის საქონლის მწარმოებლების აღრევა. როგორც განცხადებული ასევე დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები წარმოადგენენ ეტიკეტებს. სამივე ეტიკეტს აქვს განსხვავებული ფორმა. კერძოდ, განცხადებულ სასაქონლო ნიშანს აქვს ტრაპეციის ფორმა, რომლის ზედა და ქვედა გვერდები მომრგვალებულია. დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი „TALSIMAN არპი арпи“ მართკუთხედის ფორმისაა, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი „ТЕТРОНИ ТЕТРОНИ АРПИ“, გავს მართკუთხედს, რომლის ზედა გვერდი რკალისებურ მრუდს წარმოადგენს. სამივე ეტიკეტი შეიცავს სხვადასხვა გამოსახულებას და განსხვავებულ სიტყვიერ ნაწილებს. განცხადებული სასაქონლო ნიშანი „АРПИ არპი ВОСХОДЯЩЕЕ СОЛНЦЕ КАВКАЗА“ შედგება თოვლიანი მთებისაგან, რომელიც გამოსახულია ამომავალი მზის ფონზე, ხოლო დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშანში „ТЕТРОНИ ТЕТРОНИ АРПИ“ სტილიზებული მართკუთხედის ზედა წახნაგის შუაში მოთავსებულია თეთრი ცხენის ფიგურა, რომლის მარჯვნივ და მარცხნივ განთავსებულია ყურძნის მტევნები სტილიზებული ფოთლებით. ფიგურების თავზე არის ყავისფერი ლენტი. ფიგურათა ეს კომბინაცია ჩასმულია ორნამენტულ ჩარჩოში,

ისევე როგორც სიტყვიერი ნაწილი „ТЕТРОНИ ТЕТРОНИ АРПИ“. ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანში „TALISMAN არპი არპი“ მართკუთხედის შუაში მოთავსებულია მხარზე კოკა შემოდგმული ქალის ფიგურა და სიტყვიერი ნაწილი „TALISMAN არპი არპი“.

აპელანტი მიუთითებს, „სასაქონლო ნიშანზე განაცხადის წარდგენასა და რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ“, რომლის თანახმადც ექსპერტიზამ სასაქონლო ნიშნების მსგავსების დადგენისას გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიანიჭოს საერთო შთაბეჭდილებას და არა ცალკეული ელემენტების მსგავსებას. განცხადებულ და დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშნებს, მიუხედავად იმისა, რომ სამივე სასაქონლო ნიშანი შეიცავს იდენტურ სიტყვიერ აღნიშვნას, მათ იმდენი განმასხვავებელი სიტყვიერი თუ გამოსახულებითი ელემენტი გააჩნიათ, რომ საერთო შთაბეჭდილება არ ბადებს ეჭვს მთლიანობაში ამ სასაქონლო ნიშნების იმ დონის განსხვავების არსებობის შესახებ, რომ არ მოხდეს მომხმარებლის მხრიდან ამ ნიშნებით მონიშნული 33-ე კლასის საქონლის მწარმოებელი კომპანიების აღრევა.

ამასთან, აპელანტმა წარმოადგინა ორივე დაპირისპირებული ნიშნის მფლობელი კომპანიის თახმობის წერილი განცხადებულ ნიშანში სიტყვიერი აღნიშვნების „არპი“ და „АРПИ“ გამოყენებისა და განცხადებული სასაქონლო ნიშნის იმ სახით რეგისტრაციაზე, როგორც ის არის შეტანილი საქართველოს საპატენტო უწყებაში.

აპელანტი ითხოვს, რომ სააპელაციო პალატის კოლეგიამ გაითვალისწინოს ახალი ფაქტობრივი გარემოებები და ბათილად იქნეს ცნობილი საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 29 აგვისტოს №1195/03 ბრძანება და განცხადებული სასაქონლო ნიშანი „АРПИ არპი ВОСХОДЯЩЕЕ СОЛНЦЕ КАВКАЗА“ დარეგისტრირდეს განცხადებული საქონლის სრული ჩამონათვლის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და ძალაში უნდა დარჩეს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 29 აგვისტოს №1195/03 ბრძანება.

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი

მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა.”

კოლეგია მიიჩნევს, რომ განცხადებული და დაპირისპირებული ნიშნები აღრევამდე მსგავსია. კოლეგიის, აზრით მიუხედავად იმისა, რომ ნიშნები სიტყვიერი ელემენტების გარდა შეიცავს გამოსახულებით ელემენტებს, ძირითადი აქცენტი კეთდება ნიშნების სიტყვიერ ელემენტზე, კონკრეტულად მის სიტყვიერ ნაწილზე „არპი АРПИ”. განცხადებულ ნიშანში სიტყვები „არპი АРПИ” მკვეთრად გამოხატულია, ჩაწერილია მსხვილი შრიფტით და გამოტანილია ნიშნის შუა ნაწილში, სწორედ ამიტომ ნიშნის დაკვირვებისას ძირითადი აქცენტი სწორედ მათზე კეთდება. აღნიშნული სიტყვები იდენტურია როგორც განცხადებულ ისე დაპირისპირებულ ნიშნებში. ასევე აღსანიშნავია, რომ დაპირისპირებული ნიშნები რეგისტრირებულია 33-ე კლასის საქონლის ჩამონათვლისათვის, იმავე საქონლის ჩამონათვლისათვის, რომლისთვისაც მოითხოვება განცხადებული ნიშნის რეგისტრაცია. ამასთან, კოლეგია თვლის, რომ ნიშნებს შორის არსებული მსგავსების გათვალისწინებით აპელანტის მიერ წარმოდგენილი თანხმობის წერილები არ უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული. კოლეგიის აზრით, მომხმარებელი აღნიშნული ნიშნებით ნიშანდებული პროდუქციის შექმნისას, დიდი ალბათობით მიიჩნევს, რომ განცხადებული ნიშნით ნიშანდებული და დაპირისპირებული ნიშნით ნიშანდებული საქონელი ერთი და იმავე მწარმოებლისაა და აღიქვამს მას მხოლოდ როგორც ამ მწარმოებლის პროდუქციის მრავალსახეობას. ამდენად, კოლეგია თვლის, რომ განცხადებული ნიშნის რეგისტრაციის შემთხვევაში და ნიშნების ერთ სასაქონლო ბაზარზე თანაარსებობის პირობებში მოხდება მათი აღრევა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, კოლეგია მიიჩნევს, რომ არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტით დადგენილი განცხადებული სასაქონლო ნიშნისათვის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი. ძალაში დარჩეს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 29 აგვისტოს №1195/03 ბრძანება.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ გაითვალისწინა ზემოაღნიშნული გარემოებანი და იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების

ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და

### გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. შპს „ახალშენი 2005“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. ძალაში დარჩეს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის უფროსის 2013 წლის 29 აგვისტოს №1195/03 ბრძანება.
3. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში. (მის.: მცხეთა, სამხედროს ქ. №17).

კოლეგიის თავმჯდომარე:

ე. ეგუტია

წევრები:

ე. ქემაშვილი

დ. ჭიჭინაძე